2. Which kind of connection (ideological and practical influences) exists between the heredity of first parliament and Georgian Parliament Tradition?

I have chosen this matter because my doctoral thesis is – "Georgian Parliament and its peculiarities". Accordingly, the history and peculiarities of first Georgian legislative organs will be a part of my future dissertation.

სალომე ომიაძე

წაშლილი, თუმცა წარუშლელი კვალი – „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია: 1819-1945"

ჩვენი კვლევის საგანია საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატის მიერ 1947 წელს გამოცემული „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია". აღნიშნული წიგნი არა მხოლოდ ქართული ჟურნალისტიკის ისტორიისათვის არის დიდი მნიშვნელობის მქონე, არამედ იგი შეუცვლელი წყაროა ქართული დისკურსის 126-წლიანი (1819-1945) მონაკვეთის ლინგვოკულტუროლოგიური ასპექტით შესასწავლად. ბიბლიოგრაფიაში, გარდა სტაბილური პერიოდულობით გამომავალი ჟურნალ-გაზეთებისა, აღნუსხულია ყოველი ისეთი გამოცემა, რომელიც დროგამოშვებით, თუნდაც დროის არათანაბარ მონაკვეთებში გამოდიოდა, მაგალითად, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების „შრომები", „მოამბეები", „უწყებანი", „ბიულეტენები", „ანგარიშები" და სხვ. ავტორ-შემდგენლის თავდაუზოგავ შრომასა და მაღალპროფესიონალიზმს მოწმობს დამატებები და საძიებლები, რომლებიც დიგიტალურ ეპოქამდე ხელით არის შექმნილი.

როგორც ცნობილია, ტოტალიტარული რეჟიმის მკვიდრი მახასიათებელი კოლექტიური მეხსიერებიდან არასასურველი ინფორმაციის წაშლა იყო. აღნიშნული მიზნით აიკრძალა არაერთი ფილმი, სპექტაკლი, ფერწერული ნამუშევარი ... გაუჩინარდნენ ადამიანები. აკრძალეს „ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაც", მაგრამ მტრული მასში, როგორც ჩანს, გვიან დაინახეს, რადგან, ასე რომ არ ყოფილიყო, არც დასტამბავდნენ და არც პ. გუგუშვილის დადებითი რეცენზია გამოქვეყნდებოდა 1948 წელს ჟურნალ „მნათობის" მეხუთე ნომერში.

ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, ცენზურის გადაწყვეტილება წიგნის აკრძალვის შესახებ უნდა განეპირობებინა ბიბლიოგრაფიაში შე-

ნახულ სტატისტიკურ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც პარტიული გამოცემების საერთო მოცულობაში ბოლშევიკურ პრესას მხოლოდ 20 % ეკუთვნოდა. „ეს უბრალო არითმეტიკა იმის მაჩვენებელი იყო, რომ 1921 წლამდე ბოლშევიკური იდეოლოგია არ იყო პოპულარული საქართველოს მოსახლეობაში. აქედან კი ადვილად შეიძლებოდა იმ დასკვნის გამოტანა, რომ ბოლშევიკური, ე. ი. კომუნისტური ხელისუფლება ძალით და, თანაც გარედან, თავსმოხვეული ხელისუფლება იყო“ (მ. მიქაბერიძე).

მეორე მოსაზრებით, მხოლოდ ბოლშევიკური პარტიის არაპოპულარულობის გამოვლენა არ ყოფილა გამოცემული წიგნის აკრძალვის მიზეზი, „ამას ერთოდა არაერთი რეპრესირებული პირის გვარის აღმოჩენა ტექსტში“ (ალ. ლორია).

დასახელებული მიზეზები, ცალ-ცალკე თუ ერთად, საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ 2150-იანი ტირაჟის გაუყიდველი წიგნები გაენადგურებინათ. ჩვენ ხელთ გვაქვს აღნიშნულ სადამსჯელო ღონისძიებას გადარჩენილი ერთი იშვიათი ეგზემპლარი, რომელზე დაყრდნობითაც მოხსენებაში ვრცლად ვისაუბრებთ წიგნის ზოგადკულტურულ მნიშვნელობასა და წასაშლელად გამეტებულ, თუმც წარუშლელ კვალზე.

Salome Omiadze

EFFACED, YET INEFFACEABLE TRACE – “THE BIBLIOGRAPHY OF GEORGIAN PERIODICALS: 1819-1945”

The paper is dedicated to “The Bibliography of Georgian Periodicals” issued in 1947 by the State Book Chamber of the Georgian Soviet Socialist Republic. The book is of great significance not only for the history of Georgian journalism, but also for the study of the 126 years’ history (1819-1945) of Georgian discourse from the linguo-cultural viewpoint. Apart from the systematically issued newspapers and magazines, the bibliography embraces the publications issued from time to time, for instance, the scientific journals (“papers”, “heralds”, “reports”, “bulletins” etc.) of universities and other scientific institutions. The devotion and professionalism of the author-compiler can be proved by the indexes and appendices created by hand prior to the digital epoch.

It is well known that one of the peculiarities of the totalitarian regime was the deletion of undesirable information from the collective memory. With this aim, numerous films, theatrical performances and paintings were banned... even people disappeared. “The Bibliography of Georgian Periodicals” was also prohibited. However, as it seems, they only noticed the hostility in it later, only after its publication, otherwise they would have not published a positive review of P. Gugushvili in the fifth issue of “Mnatobi” journal, 1948.

According to one opinion, the censor’s decision regarding the prohibition of the book must have been due to the statistical information contained in the bibliography, according to which the Bolshevik press comprised of only 20% of the total volume of publications issued by different parties. “This simple arithmetic proved that, prior to the year 1921, Bolshevik ideology was not popular among the Georgian population. Hence, the conclusion: the Bolshevik i.e. Communist authority was imposed on Georgia from outside” (M. Mikaberidze).

According to another opinion, the above-mentioned fact was not the only reason for the prohibition of the book. “Another reason was that the book contained the names of repressed people” (A. Loria).

The above reasons, either jointly or separately, led to the annihilation of unsold books issued in the amount of 2150 copies. We have obtained one rare copy which has escaped this awful fate. Based on the analysis of this book, the paper focuses on the general cultural significance of the book and the ineffaceable trace that was meant to be effaced.

თამარ პაიჭაძე

გორა მგზორგალი – ზნეობრივ-ფსიქოლოგიური პორტრეტისათვის

„წვართვანი ყოფნათა, აღსულებათა და მიქცევისათვის“ – ეს სიტყვები ჭაბუა ამირეჯიბის რომანის მეორე სახელად ან მცირე ეპიგრაფად მოიაზრება, რადგან მკითხველი წიგნის პირველივე გვერდებიდან ემგზავრება ადამიანს სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის და, რაც მთავარია, სულიერი სავანის თუ სულიერი სიმაღლის ძიების უმძიმეს და ურთულეს გზაზე.